გიორგი ზვიადაძე

საღვთისმეტყველო განათლება საქართველოში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის მოღვაწეობის პერიოდში

"ბნელი უჩინო-იქმნების ნათლითა და უფროჲსღა ფრიადითა ნათლითა, უმეცრებაჲ უჩინო-იქმნების მეცნიერებითა და უფროჲსღა ფრიადითა მეცნიერებითა" (წმინდა დიონისე არეოპაგელი, 1961, გვ. 233); Τὸ σκότος ἀφανὲς γίνεται τῷ φωτί, καὶ μᾶλλον τῷ πολλῷ φωτί· τὴν ἀγνωσίαν ἀφανίζουσιν αἱ γνώσεις, καὶ μᾶλλον αἱ πολλαὶ γνώσεις, (Corpus Dionysiacum II, 1991, 1.1.1-1.1.2).

რწმენა არის ჭეშმარიტი ცოდნა, არადამტკიცებადი სათავეების მქონე, როგორც გონებაზე და სიტყვაზე აღმატებული საქმეების საფუძვლად მყოფი (ὑπάρχουσα ὑπόστασις)1 (წმ. მაქსიმე აღმსარებელი, 1996, 1.9).

საგანმანათლებლო მოღვაწეობის ისტორია საქართველოში სათავეს უშორესი წარსულიდან იღებს. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული მოღვაწეობის ამასხველი წყაროების მნიშვნელოვანი ნაწილი ჩვენამდე არ მოღწეულა, თვით იმ მასალების საფუძველზე, რაც შემოგვრჩა, ერთი რამ სავსებით მკაფიოდ შეიძლება ითქვას:

ერის განათლების საღვთო საქმეს საუკუნეთა მანძილზე წინამძღვრობდა საქართველოს სამოციქულო ეკლესია, რომლის უცთომელი ხედვაც სწვდებოდა ქვეყნის ყველა მხარეს, შემოკრებდა მათ და ცხონებისკენ წინ მიუძღოდა.

საეკლესიო ისტორიაში პირველი საღვთისმეტყველო სასწავლებლები II-III სს-იდან ფუძნდება.

ესენია, ერთი მხრივ, ალექსანდრიის კატეხიზმური სკოლა, დაფუძნებული წმ. ათენაგორა ათენელისა და პანტენოს ალექსანდრიელის მიერ II ს-ის მიწურულს, მეორე მხრივ კი - ანტიოქიური სკოლა, წმ. ლუკიანე ანტიოქიელის მიერ დაარსებული III ს-ის 70-იან წლებში (ზოგიერთი მკვლევარი აღნიშნული სკოლის დაფუძნებას II ს-ის II ნახევრის მოღვაწეს თეოფილე ანტიოქიელს განუკუთვნებს, ზოგს კი ხსენებული სკოლის სათავეები IV ს-ის მეორე ნახევრისკენ გადააქვს და მის ფუძემდებლებად დიოდორე ტარსელსა და თეოდორე მოფსუესტელს ასახელებს).

გარდა აღნიშნული სკოლებისა, უმნიშვნელოვანესი საღვთისმეტყველო ცენტრები ძველთაგანვე არსებობდა იერუსალიმში, რომში, კართაგენში, მოგვიანებით, კონსტანტინოპოლში, შემდეგ კაპადოკიაში და ა. შ., რომელთა გვერდით მეოთხე საუკუნის პირველი ნახევრიდან ცალკე სკოლებად წარმოჩნდებიან უდაბნო-მონასტრები, ზოგჯერ განდეგილ მოღვაწეთა სენაკებიც კი.

რაც შეეხება საქართველოს, თვალსაჩინოა, რომ საეკლესიო საგანმანათლებლო მოღვაწეობის პირველსაფუძვლები ჯერ მცხეთაში დაიდო, შემდეგ კი, თითქმის დაუყოვნებლივ, განეფინა ქვეყნის მრავალ მხარეს და, არცთუ დიდი დახანებით, გასცდა მის ფარგლებსაც.

ჩვენამდე მოღწეული წყაროების მიხედვით, X ს-მდე ქვეყნის შიგნით ყველაზე მეტად გამოკვეთილია სამხრეთ საქართველო, ქვეყნის გარეთ კი - საბაწმინდის სახელგანთქმული ლავრა. ამ ორ კერას შორის უმჭიდროესი კავშირი იყო, მიუხედავად ერთიმეორისგან დიდი დაშორებისა. მათი ურთიერთთანამშრომლობის შედეგია არაერთი ლიტურგიკული თუ სხვა ჟანრის ხელნაწერი, თუნდაც სახელგანთქმული ჰომილეტიკური კრებული «სინური მრავალთავი» 864 წლისა (ყველაზე ადრეული ქართული თარიღიანი ხელნაწერი), რომლის გადაწერაც, არსებითად, მაკარი ლეთეთელს, სამხრეთ საქართველოდან საბაწმინდაში მივლინებულ ბერს (წმ. გრიგოლ ხანცთელის მოწაფეს) უკავშირდება.

საზღვარგარეთის ქართულ მონასტერთა შორის საბაწმინდის ლავრა ჭეშმარიტად მეწინამძღვრე იყო საგანმანათლებლო მოღვაწეობისა მეათე საუკუნის შუა წლებამდე, როდესაც, გაუსაძლისი პირობების გამო, ქართველ ბერთა თითქმის მთელი კრებული სინას მთაზე გადავიდა სამოღვაწეოდ. მათ შორის იყო სახელგანთქმული ქართველი ლიტურგისტი იოანე-ზოსიმეც, რომელიც ჯერ საბაწმინდაში მოღვაწეობდა უაღრესად ინტენსიურად, შემდეგ კი, მეათე საუკუნის მეორე ნახევრიდან, სინას მთაზე გააგრძელა ხელნაწერთა გადაწერა-შედგენა-კომენტირება.

ამ დროისთვის, სამხრეთ საქართველოს საეკლესიო მოღვაწენი, გარდა საბაწმინდა-სინას მონასტრებისა, სულიერ საგრობას შეუდგებიან ათონის მთაზე, რომელთაგან ერთ-ერთი პირველი სწორედ სამხრეთ საქართველოში მოღვაწე იოანე ათონელია, რომლის სადიდებლად ისიც საკმარისია, რომ სწორედ მან აღგვიზარდა ქართველი ერის მოძღვრად და გამორჩეულ ღვთისმეტყველად თავისი სახელგანთქმული ძე, დიდი ექვთიმე ათონელი (გარდ. 1028 წ-ს), თუმცა იოანეს ჰქონდა თავისი პირადი გამორჩეულობაც, სრულიად განსაკუთრებული, რასაც შედეგად მოჰყვა ის უპრეცედენტო მოვლენა, რომ უდიდესმა ბერმა წმ. ათანასე ათონელმა საგანგებო წერილობითი «ხარისტერიონი» ანუ «სამადლობელი» უძღვნა მას და მისი სახით მთელ ქართველ ერს (ბერძნული ორიგინალი გამოცემულია მაღალ მეცნიერულ დონეზე, საიდანაც ბოლო წლებში შესრულდა ქართული თარგმანი).

ტექსტის განსაკუთრებული მნიშვნელობისა და ღირსებისგან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია დავიმოწმოთ სწორედ ის მონაკვეთი, რომელშიც საუბარია წმინდა იოანე მთაწმინდელზე:

“ათანასე, უნდო მონაზონი და ზესთაწმინდა და ღვთისმშობლის იმ ლავრის წინამძღვარი, რომელიც ათონის ჩვენეულ მთაზეა, წინამდებარე წერილობით თავდებობას და, ამიერიდან უკვე, წრფელ და შეუძრავ ბოძების [სიგელს] დავდებ და გავიღებ (ჩემი ნებსითი აზრითა და თვითარჩევითი განზრახვით და არათუ რაიმე აუცილებლობის, იძულების, დაცინვის, მზაკვრობისა თუ საქმის უმეცრებისაგან გამომდინარე, არამედ, როგორც ითქვა, მთლიანსულიერი გადაწყვეტილებით, განზრახვითა და ნებით, აგრეთვე მოწონებითა და თანხმობით იმ მთელი ჩემეული საძმოსი, რომელიც ღვთის შეწევნით შემოკრებილია ჩვენეულ ლავრაში, განსაკუთრებით კი უპირატეს ძმათა [დასტურით], რომლებმაც საკუთარი ხელით აღნიშნეს ქვემოთ თავიანთი მოწოენაბ და თანხმობა) ყოვლად კეთილმოშიში მონაზონისა და

წინამძღვრის იოანე იბერის და, მის მიერ, მისეული ყოვლად კეთილპატიოსანი ლავრის, კლიმენტისეულად წოდებულის, მიმართ, რადგან ხსენებული ყოვლად კეთილმოშიში მონაზონი იოანე, მას შემდეგ, რაც იგი ჩვენს მთაზე მოვიდა და შემომიერთდა მე, მდაბალსა და ცოდვილს, დაემორჩილა რა ჩემს უღირსებას (შესაბამისად ღვთის მცნებისა და, აგრეთვე, თავისი სათნოებისა და ღირსპატიოსანი სულის გამო), მრავალი და ნაირგვარი სულიერი ზნე-ჩვევითა და წარმატებით გაბრწყინდა, სრულყო რა აღურიცხავი და დიდ-დიდი მსახურებანი ზემოხსენებულ მორჩილებაში. ამის გამო, არა მხოლოდ ღმერთს, არამედ მეც, მდაბალს, და მთელ ჩემს ქრისტესმიერ საძმოს იმგვა-რად გვემსახურა და გვარგო მან, როგორც არავინ სხვამ ყველა იმათგან, რომლებიც კი ამჟამად თუ ძველ დროში გაბრწყინებულან» (ათანასე დიდი, 2005).

სამხრეთ საქართველოს და ათონის მთის განუყრელობა მატერიალური სახით დასტურდება ცნობილი ოშკის ბიბლიით, რომელიც სწორედ ოშკში (სამხრეთ საქართველოში) გადაიწერა ათონელი მოღვაწეებისთვის.

სულიერი ასპექტით, ამასვე სწამებს ის ფაქტიც, რომ XI ს-ის პირველ ნახევარში უდიდესი საღვთისმეტყველო კერის, იერუსალიმის ჯვრის მო-ნასტრის აღმშენებლობა იწყება შავშეთელი ბერ-მონაზონის გიორგი-პრო-ხორეს მიერ სწორედ წმინდა ექვთიმე მთაწმინდელის კურთხევით.

საგულისხმოა, რომ წმინდა ექვთიმეს ღვაწლის უბადლოდ სრულ-მყოფელი წმ. გიორგი მთაწმინდელიც ჯერ სამხრეთ საქართველოს მონას-ტრებში განისწავლა, შემდეგ ანტიოქიაში, შავ მთაზე განაგრძო ღვთისსათნო ბერული ცხოვრება, და ბოლოს, ათონის მთაზე განასრულა საღვთო ასკეზისი, როდესაც ჭეშმარიტად წარმოჩნდა იგი წმინდა ექვთიმესთან თანაშესწორებულ უდიდეს ღვთისმეტყველ-მთარგმენლად.

შავ მთაზე, თავის მხრივ, წმ. ეფრემ მცირემ იტვირთა წმ. გიორგი მთაწმინდელის მიერ საფუძველდადებული საგანმანათლებლო საქმის წინამძღვრობა, განამდიდრა რა საქართველოს ეკლესია უმნიშვნელოვანესი თარგმანებითა და უდიდესი ღირსების ანდერძ-მინაწერებით.

წმ. ეფრემ მცირემ აღზარდა წმ. არსენ იყალთოელი, საქართველოს ეკლესიის უჭკნობი გვირგვინი, რომელმაც აურაცხელ სხვა ღვაწლთან ერთად ის განსაკუთრებული მისიაც ივალდებულა, რომ წმინდა მეფე დავით აღმაშენებელთან ერთად დაეარსებინა გელათის საღვთისმეტყველო სკოლა, აკადემიად წოდებული, რომლის კეთილი ნაყოფიც ჯერ კიდევ შეუფასებელია, ვინაიდან სწორედ გელათის აკადემია იქცა ქართველი ერისთვის «მეორედ იერუსალემად… მოძღურად სწავლულებისად, სხუად ათინად, ფრიად უაღრეს მისსა…» (ქართლის ცხოვრება, 1995: 330-331).

გელათის სკოლაგავლილი ჩანს იოანე პეტრიწი, რომელიც შემდეგში სახელს და დიდებას შესძენს პეტრიწონის სამწიგნობრო ცენტრს, კიდევ ერთ უმნიშვნელოვანეს საგანმანათლებლო კერას საქართველოს ისტორიაში.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი. რომ სწორედ ამგვარ უმნიშვ-ნელოვანეს და უმყარეს ტრადიციას დაეფუძნა საღვთისმეტყველო განათლების აღორძინება და განვითარება პატრიარქ ილია II-ის ეპოქაში.

ათეისტური მმართველობის უღელი მძიმე ტვირთად აწვა ქართველ ერსა და საქართველოს ეკლესიას.

აღსაყდრების დღიდან უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ, საქართველოს უძველესი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენასთან ერთად, მიზნად დაისახა უმაღლესი საღვთისმეტყველო სკოლების დაფუძნება, რომელთა გარეშეც, ბუნებრივია, შეუძლებელი იქნებოდა ქართული საღვთისმეტყველო მეცნიერების აღორძინება და და შესაბამისი ტერმინოლოგიის ჩამოყალიბება.

ათეისტური მმართველობის პერიოდში, საეკლესიო განათლების თვალსაზრისით, ძალიან მძიმე ვითარება იყო, რასაც განაპირობებდა საღვთისმეტყველო სკოლების არარსებობა. მართალია, 1963 წელს მცხეთაში გაიხსნა საღვთისმეტყველო კურსები, რომელიც 1965 წელს სემინარიად გადაკეთდა, თუმცა, პირდაპირი გაგებით, ეს არ იყო უმაღლესი საღვთისმეტყველო სკოლა.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უწმიდესი და უნეტარესი ილია II-ის ძალისხმევით 1988 წ-ს თბილისში დაფუძნდა უმაღლესი საღვთისმეტყველო სკოლა - თბილისის სასულიერო აკადემია, რომლის მიზანია სამეცნიერო კადრების მომზადება ღვთისმეტყველების დარგში.

პატრიარქმა აკადემიის გახსნის დღიდანვე მიზნად დაუსახა ამ უმაღლეს საღვთისმეტყველო სკოლას, რომ მის კედლებში გამთლიანებულიყო მაცხოვნებელი ცოდნა და მაცხოვნებელი რწმენა.

8 ოქტომბერს თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის გახსნის საზეიმო სხდომაზე წარმოთქმული პატრიარქის სიტყვის თანახმად, ჩვენ არ უნდა მოვწყდეთ ჩვენს ფესვებს. თბილისის სასულიერო აკადემიამ უნდა იმემკვიდროს ის უდიდესი ტრადიცია, რაც დაკავშირებული იყო გელათის უმაღლეს საღვთისმეტყველო სკოლასთან. ეს აკადემია უნდა გახდეს მაღალი სამეცნიერო ცოდნისა და სულიერების მნიშვნელოვანი კერა (სიტყვა სრულად იხ. ილია II, 2017: 109-110).

1990 წელს აღდგა უმაღლესი საღვთისმეტყველო სკოლის - გელათის აკადემიის ფუნქციონირება, ხოლო 1995 დაფუძნდა გელათის მეცნიერებათა აკადემია, რაც უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო ჩვენი ეკლესიისა და ერის ცხოვრებაში.

გელათის მეცნიერებათა აკადემიის დაფუძნების აქტს სახელმწიფოს მხრიდან ხელი მოაწერა საქართველოს მაშინდელმა პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ, ხოლო ეკლესიის მხრიდან სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ.

პატრიარქის მოღვაწეობისა და ძალისხმევის შედეგად, სასულიერო სემინარიები დაარსდა ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში. მაგ.: ბათუმის წმ. იოანე ღვთისმეტყველის სახ. სასულიერო სემინარია, ახალციხის წმ. გრიგოლ ხანცთელის სახ. სასულიერო სემინარია, ცაგერის წმ. მაქსიმე აღმსარებლის სახ. სემინარია, გრემის წმ. აბიბოს ნეკრესელის სახ. სასულიერო სემინარია, ასევე წმ. გიორგი მთაწმიდელის სახ. საეკლესიო გალობის უმაღლესი სასწავლებელი, თბილისის წმ. ექვთიმე ღვთისკაცის სახ. პროფესიული საგანმანათლებლო კოლეჯი, ახალქალაქის წმ. ზოსიმე კუმურდოელის სახ. საზოგადოებრივი კოლეჯი, ახალქალაქის წმ. ნინოს სახ. საღვთისმეტყველო სასწავლებელი. ასევე, შეიქმნა უმაღლესი საერო უნივერსიტეტები:

თბილისის წმ. ანდრია პირველწოდებულის სახ. ქართული უნივერსიტეტი, თბილისის წმ. თამარ მეფის სახ. უნივერსიტეტი, ფოთის ახალი საქართველოს უნივერსიტეტი, შუახევის წმ. აბუსერიძე ტბელის სახ. სასწავლო უნივერსიტეტი. დაფუძნდა სამრევლო სკოლები, რომლებიც ეკლესია-მონასტრებთან ფუნქციონირებს, აღორძინდა სამონასტრო ცხოვრება, გაიზარდა ეკლესია-მონასტრების რიცხვი, ახალ სიმაღლეზე ავიდა საგამომცემლო საქმიანობა. არაერთი მნიშვნელოვანი გამოცემა შესრულდა როგორც წმ. წერილის, ისე უმნიშვნელოვანესი საღვთისმეტყველო-სამეცნიერო ლიტერატურისა. საგანგებოდ აღსანიშნავია «მრავალენოვანი ბიბლიის» ანუ «ბიბლია პოლიგლოტას» მრავალტომეულის გამოცემა, რაც საქართველოს ისტორიაში პირველად ხდება. ამ ყველაფერმა მნიშვნელოვნად აამაღლა ერის სულიერი განათლების დონე.

2013 წელს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის საერთაშორისო ავტორიტეტით, თბილისის სასულიერო აკადემიაში დაფუძნდა სადისერტაციო საბჭო მართლმადიდებლურ თეოლოგიაში. ამავე წელს შეიქმნა დოქტორანტურა, სადაც სადღეისოდ 37 დოქტორანტი სწავლობს დოგმატიკის, პატროლოგიის, ეკლესიის ისტორიის, ბიბლეისტიკის, ლიტურგიკის, კანონიკური სამართლის მიმართულებით.

ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ სადისერტაციო საბჭოს დაფუძნებით, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ახალ საფეხურზე აიყვანა და სრულყო საღვთისმეტყველო განათლება საქართველოში, იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენს ისტორიაში აქამდე არ არსებობდა სადისერტაციო საბჭო მართლმადიდებლურ თეოლოგიაში.

2017 წლის 11 დეკემბერს შესრულდა პირველი სადოქტორო დისერტაციის დაცვა მართლმადიდებლურ თეოლოგიაში, რაც ძალიან მასშტაბურად აღნიშნა საქართველოს წმ. მართლმადიდებელმა ეკლესიამ.

შეუძლებელია მთელი სისავსით წარმოაჩინო საღვთისმეტყველო-სამეცნიერო განათლების ის განსაკუთრებული მასშტაბი, რაც სრულად უკავშირდება საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმიდესსა და უნეტარეს ილია II-ს. ჩვენი მოკრძალებული მცდელობა მიმართული იყო მხოლოდ იქითკენ, რომ თუნდაც მცირეოდენი წარმოდგენა შეგვექმნა იმ ურთულესი და უმნიშვნელოვანესი ძალისხმევის შესახებ, რაც უწმიდესმა პატრიარქმა ილია II-მ გასწია იმ უძველესი საგანმანათლებლო ტრადიციების ასაღორძინებლად და განსავითარებლად, რაც ადრეული საუკუნეებიდანვე არსებობდა საქართველოში.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

ათანასე დიდი, (2005). *ჩვენი ღირსი და ღმერთშემოსილი ათონელი მამის ათანასეს სამადლობელი.* თარგმნა ედიშერ ჭელიძემ. *"ემაოსი"*, №1(4). თბილისი. http://library.church.ge/index.php?option=com-content&view=article&id=359%3A2011-05-07-11-31-33&catid=38%3A2009-12-29-11-32-24&Itemid=66&lang

ათონის ივერიის მონასტრის 1074 წლის ხელნაწერი აღაპებით. (1901:167). საეკლესიო მუზეუმის გამოცემა, თბილისი.

დიონისე არეოპაგელი. (1961). პირველი ეპისტოლე, გაიოს მოწესის მიმართ. პეტრე იბერიელი (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი). შრომები. თარგმანი ეფრემ მცირისა. ს. ენუქაშვილის გამოცემა. თბილისი.

თევზაძე, გ. (1995). *ანტიკური ფილოსოფია. გამომცემლობა „მეცნიერება“*. თბილისი.

გამსახურდია, ს. (1975). *სწავლა-განათლება ძველ საქართველოში* . თბილისი.

ილია II, (2017). ტ. II. "გამომცემლობა პალიტრა L". თბილისი.

კეკელიძე, კ. (1980: 80-112). *ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია.ტ.I გამომცემლობა* „მეცნიერება“. თბილისი.

კვაჭაძე, მ. (2009: 138-147)). საგანმანათლებლო ტრადიციათა შესახებ: სწავლა-აღზრდა ძველ საქართველოში, ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკის წელიწდეული. ქუთაისი.

მაქსიმე აღმსარებელი, (1996). *ორასეული, ღვთისმეტყველებისა და ძე ღმერთის ხორცში განგებულების შესახებ, 1.9). ჭეშმარიტების შესახებ.* (გამონაკრებნი) ძველი ბერძნულიდან თარგმნა და შენიშვნები დაურთო ედიშერ ჭელიძემ. *"გზა სამეუფო"* №1(4). http://library.church.ge/index.php?option=com-content&view=article&id=250&catid=39&Itemid=54&lang=ka

მენაბდე, ლ. (1962)). *ძველი ქართული მწელობის კერები,* ტ. 1. ნაკვ. 1; ნაკვ. 2. „თსუ-ს გამომცემლობა“. თბილისი.

მენაბდე, ლ. (1980). *ძველი ქართული მწელობის კერები,* ტ. II. „თსუ-ს გამომცემლობა“. თბილისი.

ნუცუბიძე, შ. (1956). *ქართული ფილოსოფიის ისტორია,* ტ. 1. „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა თბილისი.

ქართლის ცხოვრება. (1955). ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I. თბილისი.

ხიდაშელი, შ.(1988). *ქართული ფილოსოფიის ისტორია, გამომცემლობა „მეცნიერება“*. თბილისი.

Philip Schaff. (1867: 705-708)). History of the Christian Church, III. New York.

Alan J. Hauser. (2003, p. 38-47). Duane F. Watson, A History of Biblical Interpretation, I, Eerdmans Publishing Company, 2003, p. 38-47.

August Neander, (1866: p. 310-324 et c). Lectures on the History of Chistian Dogmas, ed. Justus Ludwig Jacobi, I, London.

Corpus Dionysiacum II: (1991, 1.1.1-1.1.2). Pseudo-Dionysius Areopagita. *De coelesti hierarchia, de ecclesiastica hierarchia, de mystica theologia*, epistulae. Berlin.

George Anson Jackson, George P. ed Fisher. (1883, p. 11-24.). Early Christian Literature Primers, The Post-Nicene Greek Fathers, III. Mew York.

Heinrich Kihn (1866). *Die ältesten christlichen Schulen überhaupt und die Schulen zu Antiochia, Edessa und Nisibis insbesondere,* II, Weissenburg.

ინტერნეტრესურსები

http://library.church.ge/index.php?option=com-content&view=article&id=359%3A2011-05-07-11-31-33&catid=38%3A2009-12-29-11-32-24&Itemid=66&lang

"გზა სამეუფო". №1 (4). http://library.church.ge/index.php?option=com-content&view=article&id=250&catid=39&Itemid=54&lang=ka

Giorgi Zviadadze

THEOLOGICAL EDUCATION IN GEORGIA DURING THE PERIOD OF CATHOLICOS-PATRIARCH OF ALL GEORGIA ILIA II

Abstract

The article describes theological schools of the ancient era in various church centers, including: Alexandria, Jerusalem, Rome, Carthage, and later Constantinople, Cappadocia, etc. It also focuses on existence of similar theological schools in Georgian theological centers both inside and outside the country. It's emphasized that the work of Catholicos-Patriarch Ilia II in the great religious-national cause of the revival of theological education is based on the common Christian and, simultaneously, Georgian church tradition with a special niche.

Keywords: Catholicos-Patriarch of All Georgia, Ilia II, educational centers, theology.